ხელშეკრულება № 05/03

ქ.ონი                                                                 15 მარტი 2016 წელი

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტი, მისი გამგებლის გიორგი ლობჟანიძის სახით ( შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს "მაპანეტი 7", მდებარე ქ. რუსთავი, კლდიაშვილის №4-41-ში, (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტებისთვის მოემსახუროს საკადასტრო აზომვითი ნახაზით (ელვერსიით) შედგენით მოსახურება (cpv კოდი 22100000).

## 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით – ეტაპობრივად მოემსახუროს შემსყიდველს.
2.2 დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურეობის ღირებულება - ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიხედვით.

## 3. ანგარიშსწორების პირობები

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარით.
3.2 ერთეულის ფასი შეადგენს: 500 $მ^2$-მდე – 100 ლარი, ხოლო 500 $მ^2$-ის ზევით ყოველ კვ/მ-ზე 0,04ლარი, შიდა ნახაზი კვ/მ-ზე 0,20 ლარი.
3.3 დამკვეთი ვალდებულია მოახდინოს უნაღდო ანგარიშსწორება შემსრულებელთან შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 დღის ვადაში.

## 4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისას.
4.2 მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემობის წარმოშობიდან 3 დღის განმავლობაში აცნობოს მეორე მხარეს მისი არსებობის შესახებ.

## 5. დავების გადაწყვეტის წესი

5.1 ყველა სადაო საკითხი მხარეებს შორის გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ხელშეკრულების მოშლა ან მასში ცვლილების შეტანა

6.1 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წერლობითი ფორმით.

6.2 მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში, წერლობით აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.
6.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 1 თებერვლისა.

### 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: სამუშაოთა შესრულების გრაფიკიდან 10 დღის ჩამორჩენის შემთხვევაში შემსრულებელს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ აღმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 8. დასკვნითი დებულებები

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებამდე.
8.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო მეორე შემსრულებელს.

### მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი:</u>

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა:

---------------------------------------

/გიორგი ლობჟანიძე/

ქ.ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი №1

ს/კ №237978275

ანგ.№ **GE62LB0120115527055000**

სს "ლიბერთი ბანკი"

ბ/კ LBRTGE22

<u>მომწოდებელი:</u>

შპს "მაპანეტი 7"-ის დირექტორი:

---------------------------------------

/მადონა ჩარგეიშვილი/

ქ. რუსთავი, კლდიაშვილის №4/41

ს/კ 216452871

ანგ. GE29TB7314836020100002

სს "თიბისი ბანკი"

კოდი **TBCBGE22**